სამართალდარღვევების სტატისტიკა

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ვასილ წაქაძე ლია ჩარექიშვილი
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	vtsakadze@geostat.ge lcharekishvili@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (600) +995 32 236 72 10 (605)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2024 წ. 12 მარტი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2024 წ. 12 მარტი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2024 წ. 12 მარტი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

სამართალდარღვევების სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების პროცესი მოიცავს სამართალდამცავი უწყებების მიერ უწყებრივი სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას და წარმოდგენას საქსტატში მათი გავრცელების მიზნით.

უწყებრივ სტატისტიკას აწარმოებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქსტატი კოორდინაციას უწევს საქართველოში სამართალდარღვევების სტატისტიკის წარმოებას და განათავსებს მიღებულ მონაცემებს მონაცემთა ბაზებში, ვებ-საიტზე ცხრილებისა და გრაფიკების სახით, გენდერული სტატისტიკის პორტალზე, კვარტალურ ბიულეტენსა და წელიწდეულში.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

დანაშაულები კლასიფიცირებულია სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად.

3.3. სექტორის მოცვა

სამართალდარღვევების სტატისტიკა მოიცავს რეგისტრირებული შემთხვევების, დევნის, სასამართლოების მიერ განხილული საქმეების/პირების და პატიმრების ადმინისტრაციულ მონაცემებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად (ქვეყნის დონეზე).

3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები

რეგისტრირებული დანაშაული – აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი – აღირიცხება დანაშაულთა საერთო რაოდენობა, რომლებზეც დაიწყო გამოძიება საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიებისა და ყველაზე მეტად გავრცელებული მუხლების მიხედვით;

ოჯახში ძალადობის ფაქტების სტატისტიკა აღირიცხება გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესაბამისად;

კვალიფიკაციის შეცვლა – აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი – აღირიცხება დანაშაულის გადაკვალიფიცირების შემთხვევები ყველა დანაშაულზე დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის აღრიცხვის ბარათის მონაცემების მიხედვით;

დაზარალებულის შესახებ ინფორმაცია – აღსარიცხი ერთეული: პირი, დაზარალებულ პირთა აღრიცხვა წარმოებს ასაკის, სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით;

დამთავრებული სისხლის სამართლის საქმეები – აღსარიცხი ერთეული: პირი/საქმე. აღირიცხება როგორც

საპროცესო შეთანხმებით, ისე არსებითი განხილვით დასრულებული საქმეები;
გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენები – აღსარიცხი ერთეული: პირი. აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოვიდა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი;
მსჯავრდადებულები – აღსარიცხი ერთეული: პირი. აღირიცხება მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა სასჯელის ფორმების მიხედვით, ასაკობრივ, სოციალურ ჭრილში, ნასამართლობის გათვალისწინებით;
სასჯელის ფორმები დანაშაულების მიხედვით – აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი და პირი. აღირიცხება სსკ-ის თითოეული მუხლისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული სასჯელის ფორმები;
გირაო – აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა გირაო; გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით – აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით (შემდგომში გირაო და გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით ერთობლიობაში აღირიცხება როგორც გირაო);
საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება – აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა დაპატიმრება;
პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული საქმეები, სულ განხილული საქმეები – აღირიცხება პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაჩენის გამოტანით განხილული, შეწყვეტილი და დამატებით ძიებაში დაბრუნებული საქმეები;
განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა – აღირიცხება სასამართლოების მიერ როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა;
არასრულწლოვანი მსჯავრდებულები – ის პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებიათ 18 წელი;
პირობითი მსჯავრი – მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობითი მსჯავრით;
ჯარიმა – მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც სასამართლომ ძირითადი სასჯელის სახით შეუფარდა ჯარიმა;
ამნისტიით ან სხვა საფუძვლით გათავისუფლებული – მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ გაათავისუფლა სასჯელისაგან;
დანაშაული და დანიშნული სასჯელები, დანაშაულთა რაოდენობა – აღირიცხება დანაშაულის თითოეული ეპიზოდის რაოდენობა.

3.5. სტატისტიკური ერთეული

რეგისტრირებული დანაშაული, სასამართლო, პატიმრები.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

სამართალდარღვევების სტატისტიკის ყველა სფერო.

3.7. საანგარიშო არეალი

საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

3.8. დროის მოცვა

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები ხელმისაწვდომია 1990 წლიდან;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები ხელმისაწვდომია 1995 წლიდან;
- საქართველოს პროკურატურის მონაცემები ხელმისაწვდომია 2015 წლიდან;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები ხელმისაწვდომია 2001 წლიდან.

3.9. საბაზო პერიოდი

-

4. ზომის ერთეული

რაოდენობა.

5. საანგარიშო პერიოდი

წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი

6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.
https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf

6.2. მონაცემთა გაზიარება

-

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
   - კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
   - კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
   - კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

   https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
   https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
   https://www.geostat.ge/media/58983/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
ყოველთვიური, კვარტალური, ნახევარწლიური, წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს–რელიზები
არ ქვეყნდება.
10.2. პუბლიკაციები
მონაცემები ქვეყნდება სტატისტიკურ წელიწდეულში: https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli და პუბლიკაციაში „ქალი და კაცი საქართველოში“: https://www.geostat.ge/ka/single-categories/115/genderuli-statistika
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და გენდერული სტატისტიკის პორტალზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში: https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database https://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
-
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა

12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
ძირითადი მომხმარებლები არიან: სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აკადემიური წრეები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოქალაქეები. მონაცემები გამოიყენება დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის შესამუშავებლად, აგრეთვე ქვეყანაში დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
-

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
-
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
• შსს წლიური და კვარტალური მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 35-ე დღეს; • იუსტიციის სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს მონაცემები — საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 85-ე დღეს; • საქართველოს პროკურატურის მონაცემები – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 35-ე დღეს.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
მონაცემები შესადარისია.
15.2. შესადარისობა – დროში
მონაცემები შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
-
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
-

16. დანახარჯები და დატვირთვა
მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროების მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით)

პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
საქსტატი იღებს კრებსით მონაცემებს: • საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან; • საქართველოს გენერალური პროკურატურიდან; • საქართველოს უზენაესი სასამართლოდან; • საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
კვარტალური, ნახევარწლიური, წლიური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქსტატი იღებს შემდეგ ცხრილებს: • მონაცემები რეგისტრირებული დანაშაულების შესახებ (ქვეყნის დონეზე); • მონაცემები ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ (ქვეყნის დონეზე); • მონაცემები ხანძრების შესახებ (ქვეყნის დონეზე); • ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების შესახებ (ქვეყნის/რეგიონის დონეზე); • დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა (ქვეყნის დონეზე). საქართველოს პროკურატურიდან საქსტატი იღებს მონაცემებს (ქვეყნის დონეზე): • დაზარალებულ პირთა შესახებ; • დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქსტატი იღებს მონაცემებს (ქვეყნის დონეზე): • მსჯავრდადებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით; • მსჯავრდადებულთა შემადგენლობა; • მსჯავრდადებულთა რაოდენობა და სასჯელის ღონისძიებები; • არასრულწლოვანი მსჯავრდადებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით; • დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან საქსტატი იღებს მონაცემებს პატიმართა რიცხოვნობის შესახებ (ქვეყნის დონეზე).
18.4. მონაცემთა კონტროლი
-
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
-
18.6. მოსწორება
-

19. კომენტარი
-